

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის  
ოქმი N83

ქ.თბილისი

15 ივნისი, 2021 წელი  
16<sup>00</sup>საათი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარე: გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: გიორგი ახვლედიანი

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: მარიკა დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: თევდორე ისაკაძე

საკრებულოს წევრები:

მიხეილ ამაშუკელი	ლევან არველაძე
თორნიკე ბიკაშვილი	გიორგი ბირზიჩაძე
გულია გოცირიძე	ოთარ გრიგოლია
ლევან დარახველიძე	ნიკოლოზ ვაჩიიშვილი
ერეკლე კუხიანიძე	ანა ლაშხი
ლილე ლიპარტელიანი	ზაზა მამალაძე
ქეთევან მამულაშვილი	გიორგი მუსხელიშვილი
თინათინ ნიბლოშვილი	შალვა ოგბაიძე
ვაჟა ოთარაშვილი	ლევან ჟორჯოლიანი
დათო რურუა	ნინო რუხაძე
რევაზ სოხაძე	დავით უთმელიძე
ვახტანგ შაქარიშვილი	ავთანდილ ცინცაძე
ვლადიმერ მნელაძე	დავით ჭელიძე
ალექსანდრე ხუჯაძე	ლევან ჯაფარიძე (სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე)
ლევან ჯაფარიძე	ილია ჯიშკარიანი
ქეთევან ჯოხაძე	

სხდომას ესწრებოდნენ:

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი გაიოზ თალაკვაძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე დავით ჯაიანი;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსი ირაკლი თავართქილაძე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა გახსნა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე განცხადებები გააკეთეს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებმა.

მარიკა დარჩია გამოეხმაურა საქართველოს პარლამენტის სხდომაზე გაკეთებულ განცხადებას, რომელიც ეხებოდა მერაბ კოსტავას მუზეუმს და განაცხადა, რომ შეუძლებელია ამ საკითხზე საკრებულოს არ ჰქონდეს შესაბამისი რეაგირება, რადგან ის ეხება თბილისის მუზეუმების გაერთიანებას. მისი თქმით, თბილისის თერთმეტ მუზეუმში, მანამ, სანამ შეიქმნებოდა თბილისის მუზეუმების გაერთიანება, ნამდვილად სავალალო მდგომარეობა იყო, თუმცა დღეს, აბსოლუტურად განსხვავებული სიტუაციაა და ნებისმიერ ადამიანს შეუძლია ნახოს, თუ რა მდგომარეობაა ამ მუზეუმებში. მარიკა დარჩიამ აქვე აღნიშნა, რომ მერაბ კოსტავას მუზეუმი იყო კერძო საკუთრებაში და ქალაქს საკმაოდ ძვირი დაუჯდა მისი გამოსყიდვა და მიმდინარეობს მოლაპარაკება, რომ სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის თანხის გამოყოფა მოხდეს მიმდინარე წლის ბიუჯეტიდან. მისი თქმით, კულტურული მემკვიდრეობის მიმართულეებით კეთდება ძალიან ბევრი კარგი საქმე და მოუწოდა ყველას „გთხოვთ ყველას, იყავით ფრთხილად, ეს ჩვენი წარსულია. მას თუ შევახებთ ხელს ისე, როგორც არ არის საჭირო, ჩვენ მომავალი არ გვექნება“.

გიორგი ტყემალაძემ განაცხადა, რომ „არ შეიძლება ყველაფრის პოლიტიზირება“ და იმ ადამიანს, რომელიც მერაბ კოსტავას მუზეუმთან დაკავშირებით გამოთქვამს პრეტენზიას, არ აინტერესებს ამ საკითხის მოგვარება, წინააღმდეგ შემთხვევაში, მას ექნებოდა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რას აკეთებს მუნიციპალიტეტი ამ მიმართულებით. გიორგი ტყემალაძემ აქვე აღნიშნა, რომ თბილისის მუზეუმების გაერთიანება არის ის რგოლი, რომელიც ძალიან კარგად მუშაობს და ქალაქში გვაქვს მუზეუმები, რომლებითაც შეგვიძლია ვიამაყოთ.

ნინო რუხაძემ განაცხადა, რომ აღაშფოთა საქართველოს პარლამენტში გაკეთებულმა განცხადებამ, რადგან ის მიმართული იყო ჩვენი ქვეყნის ღირსეული მოქალაქეების წინააღმდეგ, რომლებიც ემსახურებიან მაღალ ღირებულებებს და იდეალებს. მისი თქმით, თბილისის მუზეუმების გაერთიანების თანამშრომლები ათწლეულების მანძილზე იბძოდნენ, რომ თბილისის მუზეუმებს შეენარჩუნებინათ თავისი ფუნქცია და ასეთ ადამიანებს დააბრალო, რომ ისინი უდიერ დამოკიდებულებას იჩენენ საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ფასეულობების მიმართ, „უკიდურესად არასამართლიანია“. საუბრის ბოლოს, ნინო რუხაძემ, იმ ადამიანებს, რომლებიც არ არიან ინფორმირებული, თუ რა კეთდება ამ მიმართულებით, მოუწოდა - „მიდით და ნახეთ, რა მასშტაბის სამუშაოებია ჩატარებული თბილისის მემორიალურ მუზეუმებში... მიდით, ნახეთ და დააფასეთ ამ ადამიანების შრომა და ღვაწლი... და არა მხოლოდ დააფასეთ, არამედ დაეხმარეთ ამ ადამიანებს ჩვენი საერთო, ეროვნული მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობაში“.

ვახტანგ შაქარიშვილი გამოეხმაურა ლილე ლიპარტელიანის მიერ საკრებულოს ბიუროს სხდომაზე გაკეთებულ განცხადებას, რომელიც ეხებოდა საკრებულოს სხდომის მოწვევისას, საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული პროცედურების დაცვას და მიმართა მას: „რა მორალური უფლებით ლაპარაკობთ საკრებულოს საქმიანობაზე, თბილისზე, თბილისის ბიუჯეტზე და სხვა ნებისმიერ საკითხზე? სამი წელი თბილისის საკრებულოს გარდა, ყველგან დარბოდით, ხან ცესკოში „მოლოტოვის კოქტეილებს“ ისროდით, ხან პარლამენტში იჭრებოდით, ხან ბოქლომებს ადებდით, ხან ბორკილებს ადებდით და ნაცვლად იმ მანდატისა და იმ მოვალეობისა, რაც გეკისრებოდათ, ყველაფერს აკეთებდით და ამაში, სამწუხაროდ, იღებდით ანაზღაურებას, თბილისელების ფულს ბიუჯეტიდან“. ვახტანგ შაქარიშვილის თქმით, „ერთიან ნაციონალური მოძრაობას“ არ აინტერესებს არც ქალაქისთვის სასიკეთო საქმეები და არც რეალური პრობლემები და მათი „უსაგნო ლაპარაკის მოსმენით“ დაიღალა ხალხი.

ლილე ლიპარტელიანმა მიმართა ვახტანგ შაქარიშვილს: „ბატონო ვატო, ძალიან დიდი ბოდიში, რომ თქვენ არ გითანხმებთ დღის წესრიგს - სად მივდივართ, სად მოვდივართ, რას ვაკეთებთ... ძალიან დიდი ბოდიში, რომ ამ ყველაფრის საქმის კურსში არ გაყენებთ“.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:

დღის წესრიგი:

1. „თორნიკე ბიკაშვილის უფლებამოსილების ცნობის თაობაზე“;  
მომხსენებელი: გიორგი ტყემალაძე
2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N71-134 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;  
მომხსენებელი: გაიოზ თალაკვაძე
3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M<sub>3</sub> კატეგორიის და მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული M<sub>2</sub> კატეგორიის) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა“, საბაგირო გზით „ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა“ და საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები“ მგზავროთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების/ფასის, აგრეთვე რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას და საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები“ მგზავროთა გადაყვანისას ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;  
მომხსენებელი: დავით ჯაიანი
4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M<sub>3</sub> კატეგორიის და მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული M<sub>2</sub> კატეგორიის) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები“ მგზავროთა გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის N6-25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;  
მომხსენებელი: დავით ჯაიანი
5. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ღია კაფეს მოწყობის მიზნით გადაცემული მიწის ნაკვეთების მოიჯარეთა მიმართ ზოგიერთი ხელშემწყობი ღონისძიების განხორციელების თაობაზე“;  
მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე
6. „ქ.თბილისში, გორგასლის ქ. N7-ის მიმდებარედ რეგისტრირებული ტერიტორიიდან (ს/კ.: N01.18.03.062.026) 20 კვ.მ. მიწის ნაკვეთის შპს „ჰაიდისთვის“ (ს/კ.: 405423563) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;  
მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე
7. „ქ.თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი N53-ის მიმდებარედ 6 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.16.05.013.065) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „დანიელისთვის“ (ს/კ.: 402162798) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;  
მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე
8. „ქ.თბილისში, ფხოვის ქუჩაზე არსებული 3134 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.15.04.020.030) 16 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ვიტო-99“-ისთვის (ს/კ.: 203864951) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;  
მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

9. „ქ.თბილისში, ი.აბაშიძის ქ. N76-84-ის მიმდებარედ არსებული 708 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთიდან (ს/კ.: N01.14.11.025.016) 17 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით თეიმურაზ გოცამისთვის (პ/ნ.: 01008010821) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

10. „ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთი, ქუჩა სოხუმი, ჩიხი II, N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.20.01.104.032.01.502) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

11. „ქალაქ თბილისში, ანა პოლიტოვსკაიას ქუჩა, N44-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.05.003.009.01.050; N01.14.05.003.009.01.052) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

12. „ქალაქ თბილისში, ანა პოლიტოვსკაიას ქუჩა, N44-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.05.003.009.01.039) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

13. „ქალაქ თბილისში, სოფელი ოქროყანა, აკაკი ხორავას ქუჩა, N7-11/ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩა N7-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.07.017.055.01.003) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

14. „ქალაქ თბილისში, ჩიქობავას ქუჩა, N29; ქალაქი თბილისი ქუჩა გოცირიძე, N2-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.06.034.014) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

15. „ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლებაში, მე-3 მასივში, მე-6 კვარტლის, კორპუს N9-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.030.010.01.012) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

16. „ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების ქუჩის I შესახვევი N3-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.05.011.304.01.342) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

17. „ქალაქ თბილისში, სოფელ დიდ ლილოში, ერეკლე მეორის ქუჩა N6-ში (საკადასტრო კოდი: N81.08.21.448.01.002) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

18. „ქალაქ თბილისში, ანა პოლიტოვსკაიას ქუჩა N48-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.05.003.007) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

19. „ქალაქ თბილისში, ვაზისუბნის I მიკრო/რაიონის კორპუსი N7-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.07.042.007.32.057) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

20. „ქალაქ თბილისში, ტატა (ტატიანა) თვალჭრელიძის ქუჩა N18-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.16.008.026.01.009; N01.14.16.008.026.01.008) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

21. „ქალაქ თბილისში, ქერჩის ქუჩა N22-ის მიმდებარედ არსებულ ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: N01.11.05.011.320.01.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

22. „ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების ქუჩა N27-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.05.013.032.01.551) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

23. „ქალაქ თბილისში, ქიზიყის ქუჩა N32-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.24.007.441, N01.19.24.007.442, N01.19.24.007.443) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

24. „ქალაქ თბილისში, მელაანის V შესახვევი, N22, კორპუსი N3-ში და კორპუსი N4-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.08.016.121 და N01.17.08.016.119) მდებარე ზოგიერთი უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 6 ნოემბრის N340 განკარგულების ნაწილობრივ ძალადაკარგულად გამოცხადების და ქალაქ თბილისში, მელაანის V შესახვევი, N 22, კორპუსი N4-ში (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N01.17.08.016.119.01.502) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

25. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში, საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლთა ქუჩა, გამყოფი ზოლი N7-ში მდებარე 1600 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.19.20.001.149) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

26. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში, საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლთა ქუჩა, გამყოფი ზოლი N7-ში მდებარე 930 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.19.20.001.147) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

27. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის IV მ/რ, მიმდებარედ მდებარე 7450 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.01.001.419) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

28. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - „ქონების მართვის სააგენტოსა“ და აუქციონში გამარჯვებულ დიმიტრი ოცხელს (პ/ნ.: 01010009200) შორის გაფორმებულ „უძრავი ქონების სარეგისტრაციო უფლებით გადაცემის №-523-2-25145 ხელშეკრულებაში“ ცვლილებების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

29. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ინდუსტრიული ქალაქი“ (ს/ნ.: 404580191) შორის 2019 წლის 23 სექტემბერს გაფორმებული „პირობებით გამოცხადებული აუქციონის №-482-1-23724 ხელშეკრულებაში“ ცვლილებების შეტანის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

30. „ქ.თბილისში, შარტავას ქ.№3 (ს/კ.: N01.10.13.015.112), პეტრე იბერის ქ.№6, კორპუსი 14, (ს/კ.: N01.10.06.001.115), აკ.ბაქრაძის ქ.№16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი N1ა-1ბ, დიღმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ. 25/29), (ს/კ.: N01.10.10.025.029), კოსმონავტების ქ.№45-47-49 (ს/კ.: N01.13.05.004.173, N01.13.05.004.059, N01.13.05.004.142), ბოხუას ქ.№10, (ს/კ.: N01.13.02.005.006) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/კ.: 204460957) და შპს „ატლანტ“-ის (ს/ნ.: 405285070) მიმართ მისამართზე - ქ.თბილისი, მექანიზაციის ქ.№1 (ს/კ.: N01.12.12.002.001) არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებაში ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

31. „დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით, მისამართებზე: ქ.თბილისი, საირმის ქუჩა N51 (ს/კ.: N01.10.15.023.027; N01.10.15.023.006; N01.10.15.023.018; N01.10.15.023.026) დაინტერესებული პირების - შპს „საირმე პალასის“ (ს/ნ.: 404888092), შპს „აქსის გრუპის“ (ს/ნ.: 404954117), შპს „აქსისის“ (ს/ნ.: 211393357) მიმართ, ქ.თბილისი, სულხან ცინცაძის ქ.№26 (ს/კ.: N01.10.17.002.006) დაინტერესებული პირის - იმა „აქსისი პალასი 2“-ის (ს/ნ.: 205090391) მიმართ დამატებითი/დაზუსტებითი ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

32. „ქ.თბილისში, შარტავას ქ.№3 (ს/კ.: N01.10.13.015.112), პეტრე იბერის ქ.№6, კორპუსი 14, (ს/კ.: N01.10.06.001.115), აკ.ბაქრაძის ქ.№16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი N1ა-1ბ, დიღმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ. 25/29), (ს/კ.: N01.10.10.025.029), კოსმონავტების ქ.№45-47-49 (ს/კ.: N01.13.05.004.173, N01.13.05.004.059, N01.13.05.004.142), ბოხუას ქ.№10, (ს/კ.: N01.13.02.005.006) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/კ.: 204460957) და შპს „ინსტა“-ს (ს/ნ.: 202057264) მიმართ მისამართზე - ქ.თბილისი, ქუჩა მინდელის მიმდებარედ (ს/კ.: N01.14.05.006.096) არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებაში ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

33. „ქ.თბილისში, ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩა N34 (ს/კ.: N01.14.03.040.220) - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით შპს „იქსორი ქავთარაძეზე“ (ს/კ.: 405341447) მიმართ დამატებითი/დაზუსტებითი ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

34. „ქ.თბილისში, შარტავას ქ.№3 (ს/კ.: N01.10.13.015.112), პეტრე იბერის ქ.№6, კორპუსი 14, (ს/კ.: N01.10.06.001.115), აკ.ბაქრაძის ქ.№16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი N1ა-1ბ,

დიდმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ. 25/29), (ს/კ.: N01.10.10.025.029), კოსმონავტების ქ.N45-47-49 (ს/კ.: N01.13.05.004.173, N01.13.05.004.059, N01.13.05.004.142), ბოხუას ქ.N10, (ს/კ.: N01.13.02.005.006) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/კ.: 204460957) და შპს „მწვანე დილომი“-ს (ს/ნ.: 402064840) მიმართ მისამართზე - ქ.თბილისი, ლუბლიანას ქ.N3 (ს/კ.: N01.13.02.010.088) არსებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე სამშენებლო ობიექტთან მიმართებაში ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

35. „შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისათვის ფინანსური მხარდაჭერი ღონისძიებების განხორციელების ფარგლებში, დამატებითი ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

36. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

37. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

38. „ქ.თბილისში, დიდგორის რაიონში, დაბა კოჯრის სამხრეთით, ტაბახმელას მიმდებარე ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების კომპლექსის ასაშენებლად განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ“ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2009 წლის 24 დეკემბრის N01/1979 ბრძანებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

39. „ქ.თბილისში, ვაკის რაიონში, ლისის ტბის მიმდებარედ, სოფელ ლისისკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.10.18.005.038, N01.10.18.005.050, N01.10.18.007.006, N01.10.18.006.228) საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 22 ნოემბრის N395 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

40. „ქალაქ თბილისში, სულხან ცინცაძის ქუჩა N24ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.17.002.033) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

41. „ქალაქ თბილისში, ნუცუბიდის IV მ/რ-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.14.02.009.032; N01.14.02.009.033) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

42. „ქ.თბილისში, დიდგორის რაიონში, სოფელ წავკისში შ.პ.ს. „ზევსი“-ს საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე გარდაბნის რაიონის ქალაქთმშენებლობის, არქიტექტურის, მშენებლობისა და საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამსახურის მიერ 2006 წლის 19 ოქტომბერს შეთანხმებული საცხოვრებელი კომპლექსის „წავკისი ველის“-ს განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

43. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“;

მომხსენებელი: გიორგი ტყემალაძე

44. „ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ნაქულბაქევი გიორგის ქუჩისთვის ნაქულბაქევის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: მიხეილ ამაშუკელი

45. „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, გარდაბნის ქუჩისთვის ფილოსოფოსის თამაზ ბუაჩიძის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: მიხეილ ამაშუკელი

46. „ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ისტორიულად ჩამოყალიბებული უბნისთვის სამადლოს სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: მიხეილ ამაშუკელი

47. „ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, კიკეთში, ალექსანდრე ცომიას ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის წმინდა ექვთიმე აღმსარებლის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: მიხეილ ამაშუკელი

48. „ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ქოშიგორაზე, იოსებ კვაჭაძის ქუჩის გაგრძელების შესახებ“;

მომხსენებელი: მიხეილ ამაშუკელი

49. „ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, სიმონ ჩიქოვანის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ერთი ჩიხისთვის კომპოზიტორის ალექსანდრე შავერზაშვილის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: მიხეილ ამაშუკელი

50. „ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ლიხაურის ქუჩისთვის და მასთან არსებული ერთი შესახვევისთვის სპორტსმენის ომარ ფხაკაძის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: მიხეილ ამაშუკელი

51. „ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ელიას მთის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის საზოგადო მოღვაწის მაქსიმე შარაძის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: მიხეილ ამაშუკელი

52. „ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, საქართველოს პირველი რესპუბლიკის ბაღთან არსებული უსახელო ხეივნისთვის მსახიობისა და პოეტის ნიკო გომელაურის სახელის მინიჭების შესახებ“.

მომხსენებელი: მიხეილ ამაშუკელი

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.



1. „თორნიკე ბიკაშვილის უფლებამოსილების ცნობის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ და კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 30

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

თორნიკე ბიკაშვილმა მადლობა გადაუხადა კოლეგებს, აღნიშნა, რომ თბილისში არსებული პრობლემებიდან გამომდინარე, სასაუბრო ბევრი იქნება და სურვილი გამოთქვა, გაწევრიანდეს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო და გარემოს დაცვის კომისიებში.

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N71-134 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა გაიოზ თალაკვაძემ და განმარტა, რომ ბიუჯეტის შემოსავლების ნაწილი იზრდება 1000000 ლარით, რაც გამომდინარეობს ფინანსური აქტივების კლებიდან და ასევე, წარმოდგენილია 164000 ლარის შიდა გადანაწილება. აღნიშნა, რომ ამ თანხიდან 900000 ლარი მიმართული იქნება სამგორის რაიონში კეთილმოწყობის ღონისძიებების განხორციელებისკენ და 264000 ლარი - ქონების მართვის სააგენტოს ასიგნებებში.

დავით უთმელიძემ აღნიშნა, რომ თბილისის ბიუჯეტი გაიზარადა 1000000 ლარით, რომელიც მოხმარდება თბილისელებისთვის, სამგორის რაიონში, კიდევ ერთი პარკის მოწყობას და მოუწოდა კოლეგებს მხარი დაუჭირონ წარმოდგენილ ცვლილებებს.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M1 კატეგორიის და მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული M2 კატეგორიის) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა“, საბაგირო გზით „ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა“ და საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები“ მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების/ფასის, აგრეთვე რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას და საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები“ მგზავრთა გადაყვანისას ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე დავით ჯაიანმა და განმარტა, რომ ცვლილებები გამოწვეულია „უნივერსიტეტი-ბაგების“ საბაგირო ხაზის ამუშავებით. წარმოდგენილია საბაგირო ხაზით მგზავრობის ტარიფის განსაზღვრა 0.50 ლარით და საბაგიროს ჩართვა გადახდის ერთიან სისტემაში, რაც საშუალებას მისცემს მგზავრებს, გადაჯდომის შემთხვევაში, 90 წუთის განმავლობაში, იმგზავრონ უფასოდ და ისარგებლონ სხვადასხვა ჯგუფებისთვის არსებული ყველა შეღავათით.

შალვა ოგბაიძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტი კარგი ინიციატივაა. „თბილისური ფენომენი“ უწოდა ავტობუსთან და მეტროპოლიტენთან ერთად, ახალი მიკროავტობუსების და საბაგირო გზის ჩართვას ინტეგრირებული გადახდის სისტემაში და მოუწოდა კოლეგებს მხარი დაუჭირონ წარმოდგენილ საკითხს.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M<sub>3</sub> კატეგორიის და მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული M<sub>2</sub> კატეგორიის) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები“ მგზავრთა გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის N6-25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე დავით ჯაიანმა და განმარტა, რომ წარმოდგენილი ცვლილებებით, იმ მგზავრების აღრიცხვა, რომლებიც „უნივერსიტეტი-ბაგების“ საბაგირო ხაზით მგზავრობისას ისარგებლებენ შეღავათებით, დაევალება კომპანიას. ხოლო სააგენტოს დაევალება განახორციელოს მგზავრობის შესაბამისი ანაზღაურება.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

5. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ღია კაფეს მოწყობის მიზნით გადაცემული მიწის ნაკვეთების მოიჯარეთა მიმართ ზოგიერთი ხელშემწყობი ღონისძიების განხორციელების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ „ახალი კორონავირუსის - COVID 19“ პანდემიიდან გამომდინარე, წარმოდგენილია მცირე და საშუალო ბიზნესისთვის შეღავათის პაკეტი, რომლის ფარგლებშიც, 2021 წლის 31 დეკემბრამდე საიჯარო ქირის გადახდისგან თავისუფლდებიან იმ ღია კაფეების მფლობელები, რომლებსაც, დღეის მდგომარეობით, მუნიციპალიტეტისგან იჯარით აქვთ აღებული ფართი. მისი თქმით, თბილისში ასეთი 152 ობიექტია, ხოლო საიჯარო ქირა ჯამში შეადგენს დაახლოებით 680000 ლარს.

ლევან არველაძემ განაცხადა, რომ წარმოდგენილი პროექტი კარგი ინიციატივაა, რადგან მცირე და საშუალო ბიზნეს-სექტორის წარმომადგენლებს სჭირდებათ მუნიციპალიტეტის გვერდში დგომა. მისი თქმით, აღნიშნულის გარდა, მუნიციპალიტეტს აქვს მცირე რესტორნების დახმარების პროგრამა, რომელშიც ჩართულია რამდენიმე ასეული კომპანია და ეტაპობრივად ხდება მათთვის დახმარების გაწევა.

ვაჟა ოთარაშვილმა, ისარგებლა იმ შემთხვევით, რომ საკრებულოს სხდომას ესწრებოდა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს წარმომადგენელი და ისაუბრა მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე გაკეთებულ საგზაო მონიშვნებზე,

რომლებიც განკუთვნილია ველოსიპედებისთვის და მსგავსი სატრანსპორტო საშუალებებისთვის და განაცხადა, რომ მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, ინტენსიური მოძრაობიდან გამომდინარე, მუდმივად საცობებია და ზემოთ ხსენებული მონიშვნებით, კიდევ უფრო დავიწროვდა სამანქანო გზა და გახდა ორზოლიანი. მისი თქმით, ზემოთ ხსენებულ ტერიტორიაზე დღეში დადის ორი ველოსიპედი და სამი მოტოციკლი, ხოლო საათში - ათიათასობით მანქანა და კარგი იქნება, ქალაქის მერმა და შესაბამისმა სამსახურმა სატრანსპორტო მიმართულებით განსახორციელებელი ღონისძიებები შეათანხმონ ამ დარგის სპეციალისტებთან.

ლევან ჟორჟოლიანმა ისაუბრა წარმოდგენილ საკითხზე. მისი თქმით, გარდა იმისა, რომ მცირე და საშუალო ბიზნეს-სუბიექტებისთვის ხელისშემშლელი იყო პანდემია, მათ საკმაოდ დიდი ზიანი მიაყენა ასევე ქვეყანაში გამოცხადებულმა რეგულაციებმა, მათ შორის, კომენდანტის საათმა და გამოთქვა მოსაზრება, რომ თუ გახანგრძლივდება აღნიშნული მდგომარეობა, განსაკუთრებით ზაფხულის პერიოდში, შესაძლებელია მუნიციპალიტეტს ისევ დაუდგეს მსგავსი საშეღავათო პაკეტის შედგენის აუცილებლობა. ლევან ჟორჟოლიანი ასევე, გამოეხმაურა ვაჟა ოთარაშვილის მიერ გაკეთებულ განცხადებას და აღნიშნა, რომ ის, რა მიმართულებითაც მიდის ქალაქის სატრანსპორტო პოლიტიკა, ურბანული განვითარების პოლიტიკასთან ერთად, არის სწორი მიდგომა, რადგან, პირველ რიგში, მორგებულია ქვეითად მოსიარულეებზე, ველოსიპედებზე, ეკომეგობრულ და საზოგადოებრივ ტრანსპორტზე, რაც ხელს უწყობს ქალაქის საცობებისგან განტვირთვას.

რევაზ სოხაძემ მარჯვენა სანაპიროზე გაკეთებულ საგზაო მონიშვნებზე განმარტა, რომ „აქ მხოლოდ ველობილიკებში არ არის საქმე. თუ კარგად დავაკვირდებით, ხიდის ქვეშ გასასვლელებს და გვირაბებს, დავინახავთ, რომ სამანქანო გზა ყველგან არის ორზოლიანი, ისევე, როგორც, სანაპიროს დიდი ნაწილი. იქიდან გამომდინარე, რომ ფართო გზაზე ხდებოდა მანქანების დიდი ნაკადის წარმოშობა და ვიწრო ადგილებში იქმნებოდა ე.წ. „სატრანსპორტო ძაბრები“, რაც, თავის მხრივ, ქმნიდა საცობებს, სანაპიროზე მოძრაობა გახდა ორზოლიანი და ეს ასეც უნდა იყოს. მისი თქმით, სადაც იყო საშუალება, ველობილიკი დაიხაზა საავტომობილო გზის ნაცვლად, ხოლო სადაც არ იყო ამის საშუალება, ველობილიკმა გადაინაცვლა ტროტუარებზე.

შალვა ოგაბიძემ აღნიშნა, რომ თბილისის ლანდშაფტიდან გამომდინარე, შეუძლებელია გზების გაფართოვება და შესაბამისად, ქალაქის საცობებისგან განტვირთვის ერთადერთი საშუალება არის სატრანსპორტო ნაკადების მოწესრიგება. მისი თქმით, თბილისი, სამწუხაროდ, მორგებული იყო „ავტომობილისტებზე“, ხოლო ეხლა დაიწყო ადამიანებზე და მათ ინტერესებზე მორგებული, ევროპული მოდელის, ქალაქის მშენებლობის პროცესი. აქვე აღნიშნა, რომ საავტომობილო რიგების ერთ ნაკადში მოქცევა არის სწორი მიმართულება, საადაპტაციო პერიოდი გაივლის მალე და როდესაც ალაგ-ალაგ აღარ იქნება „სატრანსპორტო ძაბრები“, გადაადგილება იქნება უფრო მარტივი და კომფორტული.

ვაჟა ოთარაშვილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ შეიქმნას კომისია, რომელიც, თუნდაც ერთი დღე, დააკვირდება, თუ რამდენი ველოსიპედი მოძრაობს ამ ზოლებზე და რამდენი - ავტომობილი და თუ აღნიშნულ გზაზე გაივლის ათი ველოსიპედი და ათიათასი მანქანა, ველობილიკები მოეწყოს ტროტუარებზე და ნუ დავავიწროვებთ საავტომობილო გზას.

თინათინ ნიბლოშვილი გამოეხმაურა ვაჟა ოთარაშვილის მოსაზრებას, რომ დაკვირვების შედეგად გადაწყდეს, თუ სად მოეწყოს ველობილიკი და მიმართა მას: „ჩვენს ქალაქში ცხოვრობენ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, რომლებიც რიცხობრივად გაცილებით ნაკლები არიან ვიდრე ჩვენ და ეს იმას ნიშნავს, რომ არ გავაკეთოთ უნივერსალური სკვერები, პანდუსები მათთვის და არ მოვუწყოთ სპეციალური ინფრასტრუქტურა?“

გიორგი ტყემალაძემ აღნიშნა, რომ, სამწუხაროდ, დღეს მართლაც ცოტა ადამიანი დადის ველოსიპედით, თუმცა მუნიციპალიტეტის მიზანი და სურვილია, რომ მომავალში გაიზარდოს იმ ადამიანების რიცხვი, რომლებიც ისარგებლებენ ეკომეგობრული ტრანსპორტით, რაც

მნიშვნელოვანია როგორც საზოგადოებისთვის, ასევე ჩვენი ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 3

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

6. „ქ.თბილისში, გორგასლის ქ. N7-ის მიმდებარედ რეგისტრირებული ტერიტორიიდან (ს/კ.: N01.18.03.062.026) 20 კვ.მ. მიწის ნაკვეთის შპს „ჰაიდისთვის“ (ს/კ.: 405423563) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის გადაცემა ხორციელდება ღია კაფეს მოწყობის მიზნით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 20

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

7. „ქ.თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი N53-ის მიმდებარედ 6 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.16.05.013.065) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „დანიელისთვის“ (ს/კ.: 402162798) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის გადაცემა ხორციელდება ღია კაფეს მოწყობის მიზნით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 17

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

8. „ქ.თბილისში, ფხოვის ქუჩაზე არსებული 3134 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.15.04.020.030) 16 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ვიტო-99“-ისთვის (ს/კ.: 203864951) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის გადაცემა ხორციელდება ღია კაფეს მოწყობის მიზნით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 20

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

9. „ქ.თბილისში, ი.აბაშიძის ქ. N76-84-ის მიმდებარედ არსებული 708 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთიდან (ს/კ.: N01.14.11.025.016) 17 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით თეიმურაზ გოცაძისთვის (პ/ნ.: 01008010821) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის გადაცემა ხორციელდება ღია კაფეს მოწყობის მიზნით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 20

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

10. „ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთი, ქუჩა სოხუმი, ჩიხი II, N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.20.01.104.032.01.502) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 74 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 2000 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

11. „ქალაქ თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა, N44-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.05.003.009.01.050; N01.14.05.003.009.01.052) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 86 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 2002 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

12. „ქალაქ თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა, N44-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.05.003.009.01.039) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 54 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 2003 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 19

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

13. „ქალაქ თბილისში, სოფელი ოქროყანა, აკაკი ხორავას ქუჩა, N7-11/ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩა N7-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.07.017.055.01.003) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 112 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 28 წელია ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 19

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

14. „ქალაქ თბილისში, ჩიქობავას ქუჩა, N29; ქალაქი თბილისი ქუჩა გოცირიძე, N2-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.06.034.014) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 722 კვ.მ. ფართის გადაცემა ათი ოჯახისთვის, რომლებიც 2009 წლიდან ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 20

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

15. „ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლებაში, მე-3 მასივში, მე-6 კვარტლის, კორპუს N9-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.030.010.01.012) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 34 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 2002-03 წლებიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

